პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N--

2020 წლის ---- იანვარი

ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმა, დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმა, დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპლიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

დანართი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი

მუხლი 1.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრის მოწყობის საკითხებს.

2. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მუხლი 2.

1. საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია ყოველი წლის არა უგვიანეს 31 იანვრამდე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება საკრებულოს წევრის (მათ შორის, საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრები ვალდებული არიან ანგარიშის წარდგენის თარიღის, ადგილის და დროის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნონ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.ozurgeti.gov.ge), საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით - ანგარიშის წარდგენამდე არანაკლებ 7 დღით ადრე მაინც.

მუხლი 3.

1. საჯარო შეხვედრაზე ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით, ანგარიშის წარდგენისას დასაშვებია აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, ასევე მედიის წარმომადგენლების მოწვევა.

2. საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სხდომის მიმდინარეობისას ფორმდება შესაბამისი ოქმი.

მუხლი 4.

1. მუნიციპალიტეტის მერის საჯარო შეხვედრა ანგარიშის მოსმენის თაობაზე, შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ან სხვა საჯარო სივრცეში, რასაც უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

2. პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა კი – მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულების (მუნიციპალიტეტის

შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობა, საჯარო სკოლა, კულტურის სახლი და ა.შ) დარბაზში.

მუხლი 8.

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მერისა და საკრებულოს წევრის საჯარო შეხვედრაზე ანგარიშების მოსმენას.

2. ანგარიშის მოსმენის შემდეგ, შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს უფლება აქვთ დასვან შეკითხვები, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები და წინადადებები, შეაფასონ მომხსენებლის საქმიანობა.

მუხლი 9.

მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ozurgeti.gov.ge) - ანგარიშის წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

დანართი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ
გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: _____

მერის სახელი, გვარი: _____

მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის მოხელეთა რაოდენობა: _____

მუნიციპალიტეტში მერიის თანამდებობის პირთა რაოდენობა: _____

საანგარიშგებო პერიოდში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ოდენობა: _____

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მიმდინარე წელს: _____

საანგარიშგებო პერიოდი: _____

განხორციელებული საქმიანობები

1. ***ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია:***

1.1 საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(გთხოვთ, მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

_____

1.2 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები

(დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი)

1.3 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

(მიუთითეთ კონკრეტული შედეგი, რა პრობლემა იქნა მოგვარებული, რა ეფექტი იქონია ამან მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ან პროექტის ბენეფიციარებზე)

1.4 მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

2. განათლება:

2.1 საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(გთხოვთ, მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

2.2 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები

(დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი)

2.3 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

(მიუთითეთ კონკრეტული შედეგი, რა პრობლემა იქნა მოგვარებული, რა ეფექტი იქონია ამან მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ან პროექტის ბენეფიციარებზე)

2.4 მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები:

3.1 საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(გთხოვთ, მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

3.2 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები

(დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი)

3. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

(მიუთითეთ კონკრეტული შედეგი, რა პრობლემა იქნა მოგვარებული, რა ეფექტი იქონია ამან მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ან პროექტის ბენეფიციარებზე)

3.4 მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

4. სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა:

4.1 საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(გთხოვთ, მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

4.2. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები

(დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი)

4.3 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

(მიუთითეთ კონკრეტული შედეგი, რა პრობლემა იქნა მოგვარებული, რა ეფექტი იქონია ამან მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ან პროექტის ბენეფიციარებზე)

4.4 მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

_____

_____

_____

5. ***თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში განხორციელებული საქმიანობა:***

5.1 საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(გთხოვთ, მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

_____

_____

_____

5.2 საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები

(დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებს შორის განსხვავების შემთხვევაში, მიუთითეთ კონკრეტული მიზეზი)

_____

_____

_____

5.3. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების შედეგები და ეფექტი

(მიუთითეთ კონკრეტული შედეგი, რა პრობლემა იქნა მოგვარებული, რა ეფექტი იქონია ამან მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ან პროექტის ბენეფიციარებზე)

_____

_____

_____

5.4. მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი პროექტები

(მიუთითეთ განხორციელების ვადები, ბიუჯეტი, ბენეფიციართა რაოდენობა)

_____

_____

_____

დანართი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმა

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: _____

საკრებულოს წევრის სახელი გვარი _____
თანამდებობის დასახელება _____
კომისიის დასახელება _____
ფრაქციის დასახელება _____
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) _____
საანგარიშო პერიოდი - 20___ წლის ____ - დან 20 ___ წლის _____მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _____

<u>საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა</u>

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა ------

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება -----

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი _____

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება _____მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი_____

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა _____

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება _____

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა----- დადგენილება,---- განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები ------

---

---

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

---

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა ---------- და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა ----------

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

---

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

---

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

შევსების თარიღი ----------

წარდგენის თარიღი ----------

ხელმოწერა ----------

განმარტებითი ბარათი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება ემსახურება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმების დადგენას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრებისათვის სამართლებრივად მიმართულების მიცემას, თუ როგორ და რა ფორმით უნდა წარუდგინონ ანგარიში ამომრჩევლებს, თავიანთ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე, შესაბამისი სფეროების მიხედვით.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამახასიათებელი ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ,,მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს <u>შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით</u> მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს“, ამასთან საგულისხმოა, რომ შესაბამისი დადგენილებით, ანუ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტის 131-ე მუხლით გაწერილია საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის წესი, რაც სრულად არ მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესს და ანგარიშის წარდგენის ფორმებს, ამასთან მხოლოდ საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის წესია ზემოთაღნიშნული მუხლით დადგენილი, შესაბამისად არარის საკრებულოს მიერ დადგენილი, მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩევლეთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესი და გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, აუცილებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული ჰქონდეს დადგენილება ,,ადგილობრივი თვითმმარველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, რაც

სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული კანონის აღსრულებას, ხოლო მეორეს მხრივ მუნიციპალიტეტის ორივე ორგანოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს, ასევე აღმასრულებელი ორგანოსთვის იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი - დადგენილება, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით უზრუნველყოფს და გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოს შექმნის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის, როგორ და რა ფორმით მოაწყონ და წარუდგინონ ამომრჩევლებს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2020 წლის - თებერვალი.